



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 107/ს  
24/05/2022

107-21-4-202205241625



**დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წკერეს მიმდებარედ, შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაზის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ კობი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაზის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, წკერეს საცხოვრებელი ბანაკის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაზის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წკერეს მიმდებარედ, კობი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაზის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, წკერეს საცხოვრებელი ბანაკის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წკერეს სამხრეთით, დაახლოებით 150 მეტრში. საპროექტო გამწმენდი ნაგებობის განთავსება გათვალისწინებულია კობი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაზის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საცხოვრებელი ბანაკის (№2) ტერიტორიაზე (ს/კ: 71.62.59.099). გამწმენდი ნაგებობის განთავსების GPS კოორდინატებია: X- 461719.137; Y- 4702838.148; X- 461720.257; Y- 4702843.905. გამწმენდი ნაგებობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 260 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ხადისწყალი - დაახლოებით 250 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია გერმანული წარმოების „KLARO SBR retrofit kit 200 PE“ ტიპის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, რომლის წარმადობა შეადგენს - 30 მ<sup>3</sup>/დღ და გათვლილია 200 ადამიანზე. საცხოვრებელი ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები შეიკრიბება საკანალიზაციო ქსელის საშუალებით და თავს მოიყრის საპროექტო გამწმენდ ნაგებობაში. საცხოვრებელი ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების რაოდენობა, მოხმარებული წყლის დაახლოებით 10%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით, იქნება 7,2 მ<sup>3</sup>/დღ.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო გამწმენდი ნაგებობა წარმოადგენს სამკამერეო სისტემას და იმუშავებს აერობული SBR პრინციპით. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდა მოიცავს ჩატვირთვის, აერაციისა და დალექვის ფაზებს. ჩატვირთვის ფაზაზე ჩამდინარე წყლები ჩაეშვება ბუფერულ ავზში, სადაც მოხდება მასის დაყოვნება და დაბალანსება სედიმენტაცია-ფლოტაციის პროცესის წარმოებისათვის. პნევმატური ამწის საშუალებით, მყარი მასისგან თავისუფალი, თხევადი მასა გადავა

გააქტიურებული შლამის ზედაპირზე. პნევმატური ამწე ასევე უზრუნველყოფს აქტიურ შლამზე წყლის მინიმალური დონის შენარჩუნებას. აერაციის პროცესს არეგულირებს ჰაერის კომპრესორი. აერაციის პროცესი მიმდინარეობს გარკვეული პერიოდულობით. აქტიურ შლამზე დალექვის ფაზის დროს, 90 წუთის განმავლობაში აერაციას ადგილი არ აქვს. კამერის ფსკერზე და სუფთა წყლის მასის ზედა არეში წარმოიქმნება სილის ფენა. გამწმენდი ნაგებობა სრულად ავტომატიზებულია და არ საჭიროებს ყოველდღიურ მომსახურებას. მასში დაგროვილი ლამის ამოღება მოხდება ყოველწლიურად, ასენიზაციის მანქანების საშუალებით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, „KLARO SBR retrofit kit 200 PE“ ტიპის გამწმენდის გავლის შემდეგ ჩამდინარე წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლები იქნება: pH 6.5 - 8,5; შეწონილი ნაწილაკები - 60 მგ/ლ; ჟბმ<sub>5</sub>- 25 მგ/ლ; ჟქმ - 125 მგ/ლ; საერთო ფოსფორი - 2 მგ/ლ; საერთო აზოტი - 15 მგ/ლ და ცხიმები - 5 მგ/ლ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული წყალი, 200 მმ დიამეტრის გოფირებული მილით, ჩაშვებული იქნება მდ. ხადისწყალში. წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X- 461778.32; Y- 4702773.39.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობა არ ითვალისწინებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს. სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული იქნება ექსკავატორი, სატვირთო და ბულდოზერი. ამასთან, სამუშაოების ძირითადი ნაწილი შესრულდება ხელით. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 1,5 თვეს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა დაკავშირებულია არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნასთან, კერძოდ, გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებისას წარმოიქმნება მცირე რაოდენობის (დაახლოებით 2 მ<sup>3</sup>/წელ) ლამი. როგორც უკვე აღინიშნა, გამწმენდი ნაგებობაში დაგროვილი ლამის გატანა განხორციელდება ასენიზაციის მანქანებით, წელიწადში ერთხელ, მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება და ხმაურის გავრცელება მოსალოდნელია მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე, სამშენებლო ტექნიკის მუშაობის შედეგად. გამწმენდი ნაგებობის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ სამუშაოების ძირითადი ნაწილი შესრულდება ხელით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორია მდგრადია და დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებშია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და დასაწყობდება საცხოვრებელი ბანაკის სიახლოვეს, სამხრეთ ნაწილში, სამინისტროსთან შეთანხმებული საცხოვრებელი ბანაკის პროექტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე. სამუშაოების დასრულების შემდეგ ჩატარდება რეკულტივაციის სამუშაოები და სამშენებლო ტერიტორია დაუბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული ტერიტორიების და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გავრცელებულია „წითელი

ნუსხის“ სახეობები. ტერიტორიაზე ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო წარმოდგენილი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის და წარმადობის გათვალისწინებით, არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წკერეს მიმდებარედ, შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ კობი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, წკერეს საცხოვრებელი ბანაკის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი  
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო